პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 153
(4403)

1971 წ.
1 აგვისტო,
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

ნახვამდის, სპარტაკიადა!

სურათზე: საზეიმო ფინალი.

უ. ევგენიევის ფოტო. („კომსომოლსკაია პრავდა").

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადა დამთავრდა. 1150 მედალს პატრონი გაუჩნდა. ამ ასპარეზობის შედეგები უკვე სპორტის ისტორიის კუთვნილება გახდა. მათ შორის 18 მსოფლიო რეკორდია, 19 ევროპისა და 81 საკავშირო რეკორდი. ამას გარდა, დამყარდა სპარტაკიადის 88 უმაღლესი მიღწევა და მოიხსნა მოკავშირე რესპუბლიკების 287 რეკორდი.

... 8 ივლისს ლუჟნიკში მინსკელმა მოქანდაკემ კ. სოროკამ პირდაპირ „ათიანში" ტყორცნა ისარი. ეს იყო სპარტაკიადის ფინალური ნაწილის პირველი ნაბიჯი. 29 ივლისს მძიმე წონის მოკრივეებმა დაასრულეს სპორტის გრანდიოზული დღესასწაული. სპარტაკიადა დამთავრდა, მაგრამ სპარტაკიადა გრძელდება ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ საზოგადოებებში, ქალაქებსა და სოფლებში..

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთავარი პრიზი პირველად მოიპოვა რსფსრ-ს გუნდმა (2508 ქულა). ეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა დიდი წარმატებაა. მოსკოველები წინა ოთხ სპარტაკიადაში გამარჯვების შემდეგ II ადგილზე არიან (2298,5). ამჯერად პროგრესს მიაღწიეს ბელორუსიის წარმომადგენლებმა, რომელთაც IV ადგილი ხვდათ (1062,5). საპრიზო ხუთეულს ხურავენ ლენინგრადის სპორტსმენები (970).

ქალთა გუნდებს შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები მოიპოვეს მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიისა და ლენინგრადის ნაკრებმა კოლექტივებმა.

სპორტულ საზოგადოებებს შორის I ადგილზე არიან დინამოელები. შემდეგ მოდიან არმიელები, „ბურევესტნიკი", „სპარტაკი", „ტრუდი"...

პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს წამახალისებელი პრიზი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში სოფლის სპორტსმენთა დიდი რაოდენობით გამოყვანისთვის ესტონელებმა დაისაკუთრეს.

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის სტარტებზე 44 მილიონზე მეტი კაცი გამოვიდა. მათგან თითქმის 9 მილიონმა სათანრიგო ნორმატივები შეასრულა, 7 ათასმა კი სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს სპორტსმენები 184 ათასი ფიზკულტურის კოლექტივის წარმომადგენლები იყვნენ.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში, რომლებიც მოსკოვსა და რიგაში (აფროსნობა) მოეწყო, 7382 სპორტსმენი მონაწილეობდა.

რასაკვირველია, ამ შეჯიბრებებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა სპორტის მოყვარულებზე და უცხოელ სტუმრებზე, რომლებიც სპარტაკიადის ფინალურ ეტაპს ესწრებოდნენ. „მე მუდამ მაოცებს თქვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასშტაბი, — თქვა ამ დღეებში მოსკოვში მყოფმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა. — სპარტაკიადის შეჯიბრებებში თითქმის 45 მილიონი კაცია ჩაბმული. ეს ბრწყინვალე მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის. ეს გახლავთ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს ოლიმპიური იდეალები".

სპარტაკიადამ ბევრი გმირი გაგვაცნო. მათგან ერთ-ერთი პირველია პლანეტის ყველაზე ღონიერი კაცი, 29 წლის შახტელი (როსტოვის ოლქი) ძალოსანი ვ. ალექსეევი. 24 ივლისს მან შვიდგზის შეიტანა შესწორება მსოფლიო მიღწევათა ცხრილში. ზემძიმე წონის რეკორდების ყველა გრაფაში ამჟამად მხოლოდ მისი გვარია აღნიშნული: აჭიმვა — 225,5 კგ, ატაცი — 180 კგ, აკვრა — 235 კგ. სამივეს ჯამი კი ჭეშმარიტად ფანტასტიკურია — 640 კგ.

ალექსეევს მხარი აუბეს სხვა ძალოსნებმაც, რომლებმაც უმაღლესი მსოფლიო კლასის შედეგებით გაგვახარეს: ესენი არიან შახტელი დ. რიგერტი, ურალელი ვ. კოლოტოვი, ლვოველი ა. გნატოვი, მოსკოველი ი. კოზინი, ალმაათელი ვ. დრექსლერი, ლენინგრადელი პ. პერვუშინი.

ევროპის რეკორდი დაამყარა კიეველმა ვ. ბორზოვმა, რომელმაც რეკორტანის ბილიკზე 200 მეტრი 20,2 წამში გაირბინა. ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა და ვ. კუცის მოწაფემ, მოსკოველმა ვ. აფონინმა 5-კილომეტრიან დისტანციაზე სსრ კავშირის რეკორდი განაახლეს — 13.33,6.

აფონინი ახალი ტალღის წარმომადგენელია სსრ კავშირის დიდ სპორტში. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ლონსკის ცნობილი სკოლის (ბერდიჩევი) აღზრდილის, სიმაღლეზე მხტომელი რ. ახმეტოვის წარმატება. თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, 17 წლის ვიტებსკელმა ტანმოვარჯიშემ თ. ლაზაკოვიჩმა — სპარტაკიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა მოსწავლემ ი. ტერეშინამ, რომელმაც ოქროს 2 მედალი მოიპოვა ცურვაში, ახალმა ჩემპიონმა თანამედროვე ხუთჭიდში ვ. შმელიოვმა (მოსკოვის ოლქი).

30 ივლისის საღამოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. ალლუმის მონაწილეებს მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა. გამარჯვებულებს გადაეცათ მთავარი პრიზები.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა და ბიუროს წევრებმა საუკეთესო მწვრთნელებსა და სპორტსმენებს გადასცეს ლენინური კომკავშირის საპატიო სამკერდე ნიშნები „სპორტული სიმამაცე". ეს ჯილდო დაიმსახურეს გ. ახვლედიანმა, ვ. კაპიტონოვმა, დ. კორკინმა, ვ. ალექსეევმა, გ. გოროხოვამ, ლ. ბულდაკოვამ, ს. სავიცკაიამ, გ. ივანჩენკომ, გ. კულაკოვამ, ა. მეტრეველმა, ა. ნიკანჩიკოვმა, ლ. ოსიპოვმა, ე. პეტუშკოვამ, გ. სტეპანოვამ, ი. ხასანოვმა, მ. პიარნაკივიმ, ბ. შახლინმა.



სურათზე: 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. ნემშილოვა (რსფსრ) ასპარეზობისას.

ო. გულაშვილის ფოტო.

სპორტული კალეიდოსკოპი

როცა გაზეთი რედაქციაში მზად იყო... 19^{45}

◆ **იორკი** (ინგლისი), 31 ივლისი. მოსკოველი მშვილდოსანი ქალი ე. გაპჩენკო კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში. სამ დღეში ნატყორცნმა 216 ისარმა მას 1810 ქულა მოუტანა. გუშინ გრძელ მანძილებზე (70 და 60 მ) სროლაში მან უახლოეს მდევარს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. მონჩინსკას (პოლონეთი) 4 ქულით აჯობა და ახლა მათ შორის სხვაობა 34 ქულას შეადგენს. III ადგილზეა ამერიკელი დ. უილბერი — 1772. პირველ ათეულში აგრეთვე შედიან ლვოველი ნ. ლონსკაია (1695) და ტალინელი ე. სუიტსი (1683). გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე მყოფი საბჭოთა ნაკრები 27 ქულით ჩამორჩება ლიდერს—პოლონელთა კოლექტივს. ვაჟებში ლიდერობას ინარჩუნებს ამერიკელი ჯ. უილიამსი— 1820 ქულა. შემდეგ მოდიან: კ. ლაასონენი (ფინეთი) — 1766, ვ. პულენი (კანადა) — 1754. ლენინგრადელი მ. პეუნოვი VII ადგილზეა (1725), ხოლო კიეველი ვ. სიდორუკი — X (1715). გუნდურ ჩათვლაში I ადგილს ამერიკელები ინარჩუნებენ. საბჭოთა ნაკრები ჯერჯერობით IV ადგილზეა. ჩემპიონატის ბოლო დღეს მშვილდოსნები მოკლე დისტანციებზე (50 და 30 მ) სროლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

◆ **ვანკუვერი**, 31 ივლისი. ბრაზილიის „სანტოსმა" ანგარიშით 3:1 (1:1) დაამარცხა „ჰანოვერის" (გფრ) ფეხბურთელთა გუნდი. პელემ ერთი ბურთი გაიტანა პენალტით.

◆ **ბრიჩიმი**, 31 ივლისი. ბულგარეთის ამ ქალაქში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა: ბულგარეთი — გფრ. გაიმარჯვა მასპინძელთა ნაკრებმა — 9:1.

◆ **სოფია**, 31 ივლისი. მოსკოვის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა წააგო მეორე ამხანაგური მატჩი სოფიელ თანატოლებთან — 2:3 (1:0).

მხოლოდ ტექნიკური შედეგები…

კრივი.

48 კგ-მდე. 1. ა. სემიონოვი (რსფსრ), 2. ქ. კუკუმოვი (ყაზახეთი), 3. ა. ანტონოვი (მოსკოვი) და ს. დურიანი (სომხეთი).

51 კგ-მდე. 1. დ. ტოროსიანი (სომხეთი), 2. ე. დუბოვსკი (ბელორუსია), 3. მ. ჯაკსიბაევი (ყაზახეთი) და ლ. ბუგაევსკი (უკრაინა).

54 კგ-მდე. 1. ვ. ორლოვი (რსფსრ), 2. ი. ვიალჩენკოვი (ბელორუსია), 3. ი. კოლიჩევი (ლიტვა) და ა. ლევიშჩევი (უკრაინა).

57 კგ-მდე. 1. ბ. კუზნეცოვი (რსფსრ), 2. ვ. ბაღდასაროვი (მოსკოვი), 3. ზ. იასინსკისი (ლატვია) და ს. ტრესტინი (უკრაინა).

60 კგ-მდე. 1. ო. გუროვი (ყაზახეთი), 2. გ. დობროხოტოვი (მოსკოვი), 3. ნ. ხრომოვი (უზბეკეთი) და ა. საიანკინი (ესტონეთი).

63,5 კგ-მდე. 1. ს. კაზარიანი (სომხეთი), 2. ა. ტოროპოვი (ტაჯიკეთი), 3. ო. ლიფანოვი (უკრაინა) და ა. დოლგოვი (ლატვია).

67 კგ-მდე. 1. ა. ხოხლოვი (მოსკოვი), 2. ა. კარავაევი (რსფსრ), 3. ნ. სტრუჩკოვი (ესტონეთი) და ა. აბდრახმანოვი (ყაზახეთი).

71 კგ-მდე. 1. ა. შიპილოვი (რსფსრ), 2. ო. ტოლკოვი (უკრაინა), 3. ი. ხრიანინი (ყაზახეთი) და ა. ალექსეევი (მოსკოვი).

75 კგ-მდე. 1. რ. რისკიევი (უზბეკეთი), 2. ვ. აბრამოვიჩი (რსფსრ), 3. ვ. ლემეშევი (მოსკოვი) და ა. კლიმანოვი (უკრაინა).

81 კგ-მდე. 1. ნ. ანფიმოვი (უზბეკეთი), 2. მ. კროხმალნი (უკრაინა), 3. ი. ჩიტალკინი (ლატვია) და ვ. გრებენიუკი (ყაზახეთი).

მძიმე წონა. 1. კ. საროიანი (სომხეთი), 2. ვ. ნესტერენკო (მოსკოვი), 3. ვ. ინიატკინი (უკრაინა) და ა. ბოდნია (ლატვია).

გუნდური ჩათვლა. რსფსრ — 93,5 ქულა, მოსკოვი — 67,5, სომხეთი — 63, უკრაინა — 62,5, ყაზახეთი — 56,5, უზბეკეთი — 51, ბელორუსია — 30,5, ლატვია — 30,5, ლიტვა — 19,5, ლენინგრადი — 15, ესტონეთი — 14, ტაჯიკეთი — 9, თურქმენეთი — 7,5, აზერბაიჯანი — 7,5, მოლდავეთი — 7,5, საქართველო — 7,5, ყირგიზეთი — 7,5.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა. ქალები.

1. ო. პეტრუსევა (რსფსრ) — 9.45,9 (სსრ კავშირის რეკორდი), 2. ნ. სუხოვცევა — 9.46,0, 3. ო. კუდაშოვა (მოსკოვი) — 9.58,8.

ფრენბურთი. ბოლო ორი ტური. VII-XII ადგილებისთვის. ქალები.

საქართველო — ლატვია 3:1, საქართველო — ყირგიზეთი 3:2, ლიტვა — ლატვია 3:2, ლიტვა — ბელორუსია 3:1, ყაზახეთი — ბელორუსია 3:2, ყაზახეთი — ყირგიზეთი 3:1.

საბოლოო ადგილები: 7. ყაზახეთი, 8. ლიტვა, 9. საქართველო, 10. ბელორუსია, 11. ლატვია, 12. ყირგიზეთი.

VII-XII ადგილებისთვის. ვაჟები.

საქართველო — ბელორუსია 3:1, საქართველო — აზერბაიჯანი 0:3, სომხეთი — ბელორუსია 0:3, სომხეთი — ლატვია 0:3, უზბეკეთი — ლატვია 0:3, უზბეკეთი — აზერბაიჯანი 1:3.

საბოლოო ადგილები: 7. ლატვია, 8. აზერბაიჯანი, 9. უზბეკეთი, 10. ბელორუსია, 11. საქართველო, 12. სომხეთი.

ხელბურთი. ბოლო ორი ტური. VII-XII ადგილებისთვის. ქალები.

ყაზახეთი — უზბეკეთი 11:12, ყაზახეთი — მოლდავეთი 15:20, სომხეთი — მოლდავეთი 14:20, სომხეთი — ლენინგრადი 18:17.

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

როგორც ვიუწყებოდით, უფაში V სპარტაკიადის პროგრამით გამართულ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე გოგონები, რომლებმაც II საპრიზო ადგილი დაიკავეს.

გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელმა, 13 წლის ია მუზაშვილმაც, რომელმაც სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა.

სურათზე: ი. მუზაშვილი.

ი. იუნაევის ფოტო.

ფილატელისტთა საყურადღებოდ

◆

სპარტაკიადას მიეძღვნა

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა საფოსტო მარკების ახალი სერია, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას მიეძღვნა. სერია შედგება 5 კვადრატული მინიატურისგან. ნახატებზე აღბეჭდილია შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ასეთი სამახსოვრო წარწერა აქვთ: „1971. სსრ კავშირის ხალხთა მე-5 საზაფხულო სპარტაკიადა".



როგორც ცნობილია, მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში დიდი ინტერესი გამოიწვია საკავშირო გამოფენამ „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში".

სურათზე: ა. დეინეკას სკულპტურული ნამუშევარი „ესტაფეტა".

საქდესის ფოტოქრონიკა.

2 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 ბრინჯაო

სასპარტაკიადო ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა შეჯიბრება დაამთავრეს თუ არა, დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი ამ საინტერესო სახეობაში. მაგრამ მოსკოვში გამართული ტურნირი ნაკლებად მიმზიდველი გამოდგა იმის გამო, რომ მძიმე ბრძოლებით დაქანცულმა ბევრმა სახელოვანმა ათლეტმა უარი თქვა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ესენი იყვნენ სპარტაკიადის ოქროს ლაურეატები ნ. რუსნაკი, ი. გუსოვი, შ. ლომიძე, ტ. ალიბეგაშვილი, ა. მედვედი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ზ. შეყრილაძე, ი. კოროლიოვი, ი. შახმურადოვი, გ. სტრახოვი, ვ. სიულჟინი, ბ. გურევიჩი. თავად განსაჯეთ, ამ ფაქტორმა დიდად გაანელა ინტერესი საკავშირო შეჯიბრებისადმი.

გამარჯვების დუბლი მხოლოდ სამმა მოჭიდავემ გააკეთა: რ. დმიტრიევმა, ლ. თედიაშვილმა და პ. სურიკოვმა.

აი, საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორებიც:

48 კგ. 1. რ. დმიტრიევი (მოსკოვი), 2. გაჯიევი, 3. ყულიევი (აზერბაიჯანი); 52 კგ. 1. გ. დმიტრიევი (მოსკოვი), 2. მიქელაძე (საქართველო), 3. ალახვერდიევი (რსფსრ); 57 კგ. 1. ჩერტკოვი (უკრაინა), 2. დობორჯგინიძე (საქართველო), 3. კულეშოვი (უკრაინა): 62 კგ. 1. ყვარელაშვილი, 2. დგებუაძე (საქართველო), 3. აბდულბეკოვი (რსფსრ); 68 კგ. 1. ნეუსტროევი (რსფსრ), 2. კაზახოვი (მოსკოვი), 3. გულუევი (ტაჯიკეთი); 74 კგ. 1. აშურალიევი (რსფსრ), 2. მარსაგიშვილი (საქართველო), 3. ელკანოვი (მოსკოვი); 82 კგ. 1. თედიაშვილი (საქართველო), 2. ტემიროვი (რსფსრ), 3. მარჩენკო (უკრაინა); 90 კგ. 1. სურიკოვი (ყაზახეთი), 2. ცნობილაძე, 3. მარშანია (საქართველო); 100 კგ. 1. გულიუტკინი (უკრაინა), 2. ლისაფინი (ბელორუსია), 3. მუხანოვი (უკრაინა); 100 კგ-ს ზევით. 1. პარშუკოვი (რსფსრ), 2. ოგოროდნიკი (უკრაინა), 3. ნადეჟდინი (მოსკოვი).

წრთობის გზა

ისინი ყოველ სკოლაში არიან, თავს ნორჩ არმიელებს უწოდებენ, მკლავზე საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის" ემბლემა აქვთ დამაგრებული. ეს ხალისიანი ჭაბუკები და გოგონები გულმოდგინედ ეუფლებიან სხვადასხვა სამხედრო სპეციალობას, თან ყველაზე მთავარ ამოცანად სხეულის გამოწრთობა და გაკაჟება მიაჩნიათ. დილის ვარჯიშის სისტემატური შესრულება ურღვევი კანონია. ყოველი მათგანი ერთ ან ორ სპორტულ წრეში, სექციაში მეცადინეობს. „ცისკრის" პროგრამა პიონერულ ოთხჭიდს, ტურისტულ მრავალჭიდსა და ბევრ სხვა ისეთ ასპარეზობას ითვალისწინებს, რაც მომავალი სპორტსმენის დაოსტატების ჩინებულ გზას წარმოადგენს.

„ცისკარი" სამხედრო-სპორტული თამაშია, იგი ნორჩ არმიელებს სამხედრო სპეციალობების ცოდნას აძლევს, მაგრამ, რადგან ჩვენ მშვიდობა გვსურს და მშვიდობისთვის ვიბრძვით, ნორჩ არმიელებს იქნებ არც არასოდეს მოუწიოთ ნამდვილ ბრძოლაში მოხვედრა. ამიტომ „ცისკარს" მეორე უფრო დიდი და კარგი მიზანი აქვს — ხელი შეუწყოს მოზარდის წრთობასა და გაკაჟებას.

მრავალი ათასეული ნორჩი არმიელი კარვების ამ ქალაქში მოხვედრას ოცნებობდა და იბრძოდა კიდეც ამ საპატიო უფლების მოსაპოვებლად. „ცისკრის" რესპუბლიკურ ფინალში მონაწილეობის უფლება კი საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა — 19 გამარჯვებული რაზმის ნორჩმა არმიელებმა მოიპოვეს.

„ცისკრის" კარვების ქალაქი სტუმართმოყვრულად შეეგება საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ ნორჩ არმიელებს. პირველი შეხვედრები, პირველი შთაბეჭდილებანი... კარვების წინ გაჩნდა „საბრძოლო ფურცლები", ფოტოსტენდები... შემდეგ ნორჩ არმიელთა რაზმები გორის ქუჩებში სტალინის სახელობის მოედნისკენ მიაბიჯებენ. ქუხს მუსიკა, მთელი ქალაქი ქუჩაშია გამოფენილი. აი, საზეიმოდ მორთული მოედანიც. ტრიბუნაზე ბევრი სტუმარია — პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, პედაგოგები, დიდი სამამულო ომის ვეტერანი მებრძოლები. ნორჩ არმიელთა რაზმების მეთაურები პატაკს აბარებენ აღლუმის უფროსს. შემოაქვთ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური დროშა. „ცისკრის" შარშანდელ რესპუბლიკურ ფინალში გამარჯვებული გორის მე-6 სკოლის ნორჩ არმიელთა რაზმის წარმომადგენლები კი ანძაზე „ცისკრის" ალამს აღმართავენ. საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

შემდეგ აღლუმის უფროსი პატაკს აბარებს „ცისკრის" რესპუბლიკური შტაბის უფროსს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველ მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ი. იურპოლსკის. გენერალი ნორჩ არმიელებს ესალმება, მოედანზე ქუხს „ვაშა". გენერალ-ლეიტენანტი იურპოლსკი ტრიბუნაზე ადის და ნორჩ არმიელებს სიტყვით მიმართავს.

შემდეგ ნორჩ არმიელებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ლაღიძე მიესალმა.

„ცისკრის" კარვების ქალაქში დაიწყო შეჯიბრება. აი, კვერნაკის მთის ფერდობზე მზვერავთა რაზმი მოაბიჯებს... სულ რამდენიმე წუთის წინათ მათ გამოცდა ჩააბარეს ტოპოგრაფიასა და რუკის წაკითხვაში. ახლა კი მოცემული აზიმუტის საშუალებით უნდა მოძებნონ შეტევის საწყისი ზღუდე. დავალების შესასრულებლად 50 წუთია განკუთვნილი. ადვილი როდია მთის ფერდობების ავლა, გზის გაკვლევა... ამას მხოლოდ კარგი სპორტსმენი შეძლებს. სწორედ ასეთები აღმოჩნდნენ რუსთაველი ნორჩი მზვერავები. მათ ყველაზე სწრაფად, 4 წუთში შეასრულეს დავალება.

აი, რაზმები ცეცხლის ხაზზე დგანან. ბათუმელი ს. წულუკიძე დინჯად უმიზნებს და ისვრის.

— არის, პირდაპირ „ათიანში"! კარგია, — ეღიმება მსაჯს.

50 შესაძლებლიდან ს. წულუკიძე, ა. დუმბაძე, ვ. სიხარულიძე, ი. მერნიკოვი 43-43 ქულას აგროვებენ და დებულების თანახმად მსაჯი მათ 10-10 დამატებით ქულას ურიცხავს. ბათუმის მე-5 სკოლა სროლაში I ადგილს იკავებს. შესაძლოა სწორედ აქ, სასროლეთზე შეჯიბრების მეორე დღეს ჩაეყარა საფუძველი ბათუმელთა იმ დიდ წარმატებას, რომელიც საერთო I ადგილით დაგვირგვინდა.

მესამე დღე ტურისტულ ლაშქრობას დაეთმო. მისი მარშრუტი მთებსა და ხევებზე გადიოდა. 17 კილომეტრი განვლო ოთხასივე ნორჩმა არმიელმა. ასეთივე წარმატებით ჩაიარა ასპარეზობამ პიონერულ ოთხჭიდში. მართალია, აქ რესპუბლიკური რეკორდები არ დამყარებულა, მაგრამ შეჯიბრების ყოველმა მონაწილემ შეასრულა ჩასათვლელი ნორმატივები და თავის გუნდს ქულების მაქსიმუმი შესძინა. ვინც შორიდან მაინც ნახა, რა მარჯვედ გადალახეს დუშელმა სანიტრებმა დაბრკოლებათა ზონა და დაჭრილს პირველი დახმარება აღმოუჩინეს, ან რა სწრაფად გაშალეს კარავი ბათუმელმა ნორჩმა არმიელებმა. არ შეიძლება ხმამაღლა არ თქვას: ყოჩაღ!

ამავე სიტყვით შეფასდა ნორჩ არმიელთა საბრძოლო ოპერაციაც, რომელშიც ცხრამეტივე რაზმი მონაწილეობდა.

„ცისკრის" რესპუბლიკური შეჯიბრების ალამი დაეშვა. ბათუმელი ნორჩი არმიელები აგვისტოში მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ფინალში, რომელიც ლეგენდარულ ბრესტში გაიმართება.

გ. ბახტაძე.

ახალი დისპანსერი

ზუგდიდის სამკურნალო დაწესებულებებს შეემატა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი. მას ორი განყოფილება აქვს: საექიმო კონტროლისა, რომელიც თვალყურს ადევნებს უშუალოდ სპორტულ სექციებში გაერთიანებულ ფიზკულტურელთა ჯგუფებს, და სამკურნალო ფიზკულტურისა, რომელიც მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს ქრონიკულ ავადმყოფებს, მედიკამენტებით მკურნალობასთან ერთად ფიზკულტურულ ვარჯიშთა კომპლექსით მკურნალობას რომ საჭიროებენ.

დისპანსერი (მთავარი ექიმი გ. ქარჩავა) აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიებითა და ხელსაწყოებით. აქ მუშაობენ კვალიფიციური ექიმები, მასაჟისტი, გამოცდილი მეთოდისტი და სხვ.

დისპანსერს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოემსახუროს მეზობელ რაიონებს, სადაც მსგავსი სამკურნალო დაწესებულებები არ არის.

კ. ფიფია.

ზუგდიდი.

გაზეთის პრიზზე

მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციულ ტურნირში რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის" პრიზზე მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს 1971 წლის ჩემპიონატში I და II ადგილებზე გასული თბილისელები: ოსტატი ა. ბოკუჩავა და ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე.

ტურნირი მიმზიდველი იყო, თუმცა თბილისელმა მოჭადრაკეებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, ხოლო ერთმანეთთან პარტიაში ყაიმს დასჯერდნენ. მათ 17,5-17,5 ქულა (18-დან) მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. III ადგილი დაიკავა ჯ. სალინაძემ — 13 ქულა, IV — ბ. სილაგაძემ — 12, V — ვ. კოპალიანმა — 11.

დიდი ინტერესი გამოიწვია სტუმრების ალტერნატიულმა ერთდროულმა თამაშის სეანსმა 20 დაფაზე. მათ 13 შეხვედრა მოიგეს, 3 ყაიმით დაამთავრეს (ა. სილაგაძესთან, შ. ტყილდიანთან და ჯ. მიქაძესთან) და 4 წააგეს (ჯ. ჩიქვაიძესთან, ბ. სილაგაძესთან, ა. გუგავასთან და ვ. კოპალიანთან).

გ. ხვადაგიანი,

ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

მატჩები, გოლები, ავტორები

30 ივლისს, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დახურვის შემდეგ, გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „სპარტაკი" — „შახტიორი".

გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 3:0. 1 ბურთი გაიტანა კისელიოვმა, 2 — ხილაგაძემ (1 პენალტით).

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	18	14	3	1	47—18	31
ასკ (დონის როსტოვი)	17	10	5	2	26—10	25
„დინამო" (კიევი)	19	10	5	4	30—15	25
„შახტიორი" (დონეცკი)	17	9	5	3	23—16	23
ცსკა	20	7	9	4	20—17	23
„არარატი" (ერევანი)	18	7	4	7	22—18	18
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	17	7	3	7	27—23	17
„დინამო" (თბილისი)	17	7	3	7	21—20	17
„კარპატი" (ლვოვი)	19	5	7	7	21—30	17
„კაირატი" (ალმა-ათა)	17	6	4	9	23—27	16
„სპარტაკი" (მოსკოვი)	17	5	4	8	21—27	14
„ტორპედო" (მოსკოვი)	17	5	3	9	26—35	13
„დინამო" (მინსკი)	18	3	6	9	17—26	12
„ზენიტი" (ლენინგრადი)	17	4	4	9	17—27	12
„ფახთაკორი" (ტაშკენტი)	18	4	3	11	18—43	11
„ნეფთჩი" (ბაქო)	17	3	4	10	13—22	10

II ლიგა IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	20	11	7	2	32—11	29
„მეტალურგი" (რუსთავი)	20	10	9	1	29—10	29
„მერცხალი" (მახარაძე)	20	7	9	4	16—15	23
„მოტორი" (ვლადიმირი)	20	7	8	5	20—14	22
„სპარტაკი" (კოსტრომა)	21	6	10	5	22—17	22
„სატურნი" (რიბინსკი)	21	9	4	8	22—22	22
„ტრუდი" (ვორონეჟი)	20	6	9	5	23—19	21
„ხიმმაშოვეცი" (პენზა)	20	8	5	7	16—14	21
„ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი)	20	7	7	6	19—20	21
„მეშახტე" (ტყიბული)	20	8	5	7	23—25	21
„დინამო" (ბათუმი)	20	5	10	5	14—15	20
„კოლხეთი" (ფოთი)	20	6	8	6	16—18	20
„დინამო" (სოხუმი)	22	6	8	8	23—27	20
„დილა" (გორი)	21	5	9	7	29—31	19
„სპარტაკი" (სარანსკი)	21	7	5	9	15—19	19
„დინამო" (ვოლოგდა)	20	6	6	8	10—20	18
„სპარტაკი" (რიაზანი)	20	5	7	8	14—18	17
„სპარტაკი" (ტამბოვი)	20	5	5	10	9—17	15
„მაშინოსტროიტელი" (პოდ.)	20	5	5	10	18—28	15
„დინამო" (კიროვი)	20	3	6	11	12—22	12

მუდამ სპორტის სამსახურში

სულ ახლახან, ივნისის მიწურულს, ლენინგრადში ჩატარდა მეტად საინტერესო ტურნირი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა შორის. მან, როგორც მუდამ, მაყურებელთა დიდი ყურადღება მიიპყრო. ასეა: ყველას, ვისაც ფეხბურთი უყვარს, სურს კვლავ იხილოს წარსული წლების გამოჩენილი ოსტატების უბადლო ხელოვნება, გაიხსენოს ჯარდასულ ბრძოლათა დაუვიწყარი სურათები, საყვარელი ფეხბურთელები და, ყოველივე ამას გარდა, გაიხსენოს თავისი ახალგაზრდობაც...

ამ ტურნირის ფინალური მატჩი მოსკოვისა და თბილისის ვეტერანთა შორის მოიგეს მოსკოველებმა — 4:2. საანგარიშო წერილში, რომელიც „ფუტბოლ-ჰოკეიში" დაიბეჭდა, მოსკოველთა განთქმული მეკარე ალექსი ხომიჩი წერდა: „... ერთ-ერთი . კონტრშეტევისას ავთანდილ პაიჭაძემ დიდი ხნის წინ დავიწყებული „პონომარიოვისებური" ფეხის წვერის დარტყმით ბურთი ჩემგან მარცხენა ძელისკენ დაარტყა და იგი რიკოშეტით გავიდა ბადეში".

ვინ ვინ და ა. ხომიჩმა კარგად იცის, რა არის ეს პონომარიოვისებური დარტყმა, ყველაზე საშიში, უხერხული, მოულოდნელი და უეცარი მეკარისთვის. მან ისიც კარგად იცის, რომ ახალგაზრდობის წლებში ა. პაიჭაძეც ოსტატურად ფლობდა ამ მზაკვრულ დარტყმას და ხშირად, ძალიან ხშირად გაუტანია ბურთი მისი მეოხებით. ამიტომ იყო, რომ მრავლის მნახველმა მეკარემ მაშინვე გაიხსენა ეს დარტყმა და განსაკუთრებით გაუსვა მას ხაზი, როგორც უნიკალურ მოვლენას დღევანდელი ფეხბურთისთვის.

ა. პაიჭაძე კი მართლა იყო ასეთი ბურთების გატანის ოსტატი. იგი მუდამ შეტევის წინა ხაზზე გახლდათ, ყველა პარტნიორზე წინ, სულ ერთ ნაბიჯზე თამაშგარე მდგომარეობიდან და მუდამ ფხიზლად ყარაულობდა მოწინააღმდეგე მცველებისა და მეკარის შეცდომას, თუნდაც უმნიშვნელოს... ასეთ შეცდომას იგი არავის აპატიებდა. ეს ხშირად ისეთ მომენტებში ხდებოდა, როცა თავდამსხმელს ფეხის მოსაქნევი დროც კი არ ჰქონდა, ა. პაიჭაძეს კი არც სჭირდებოდა ეს დრო: საკმარისი იყო მიეწვდინა ფეხის წვერი და ბურთი მიზნისკენ მიქროდა.

ადრიანი, სულ ადრიანი ბავშვობიდან შეუყვარდა ფეხბურთი ა. პაიჭაძეს. ან როგორ შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო ფოთში მცხოვრები ბიჭისთვის, თანაც, ბორის პაიჭაძის ძმისთვის. სკოლა — სკოლაზე, ქუჩა— ქუჩაზე, უბანი — უბანზე. იყო დილიდან დაღამებამდე ბურთის თამაში. გუნდს იმის სახელი ერქვა, ვისაც ბურთი ჰქონდა, და ამ მონაცემით ავთანდილი ეფრემიძის გუნდში გამოდიოდა.

ასე იყო წლების მანძილზე. თუ ბორისი თამაშობდა, მთელი ფოთის ბიჭები უბილეთოდ ძვრებოდნენ სტადიონის საიდუმლო ხვრელებში და გატაცებით უყურებდნენ იმ სასწაულებს, რასაც იგი აკეთებდა მინდორზე, მერე კი შინისკენ ბრუნდებოდნენ და ცდილობდნენ თვითონაც გაემეორებინათ თავიანთი მრავალტანჯული ბურთით ის ამოუხსნელი საიდუმლოებანი.

მერე ბორისი თბილისში გადმოვიდა და მალე უმცროსი ძმაც გადმოიყვანა თავისთან საცხოვრებლად. ავთანდილმა 1-ელ სკოლაში განაგრძო სწავლა და, რა თქმა უნდა, ბურთის თამაშიც.

ნიჭიერი ბავშვი მალე შენიშნეს მწვრთნელებმა (ან რა იყო აქ საძებარი — ბორის პაიჭაძის ძმას ვინ დატოვებდა უფეხბურთოდ) და ავთანდილი სპორტსკოლაში მოხვდა, გამოცდილ პედაგოგ ა. გალპერინთან. ეს იყო 1939-40 წლებში. შემდეგ იგი „დინამოში" გადაიყვანეს, სადაც იმ დროს ნ. ჩხატარაშვილი მუშაობდა.

მაგრამ ბავშვობა უცბად გათავდა. დაიწყო ომი, ცხოვრება გაჭირდა, სად იყო ფეხბურთის დრო! დადგა მძიმე შრომის პერიოდი და ავთანდილი საავიაციო ქარხანაში შეუდგა მუშაობას, საათობით იდგა ქანცგამოცლილი დაზგასთან.

მხოლოდ 1943 წელს გახდა შესაძლებელი ბუცების ხელახლა ჩაცმა. მაშინ შეიკრიბნენ მ. ჯოჯუა, გ. გარიშვილი, ზ. ქვარიანი, ა. ბურჭულაძე, ვ. დავთიანი, ფ. მახარაძე, ა. პაიჭაძე და სხვ. შექმნეს „შრომითი რეზერვების" გუნდი, რომელსაც სათავეში ა. გონელი ჩაუდგა. გუნდი საკავშირო შეჯიბრების ფინალში გავიდა, მოსკოველებს შეხვდა მათს მინდორზე და გამარჯვებულის გამოვლენას 4 ფინალური მატჩი დასჭირდა. როგორც იქნა, მასპინძლებმა იძალეს...

ამ შეჯიბრების შემდეგ შედგა „შრომითი რეზერვების" საკავშირო ნაკრები, რომელშიც 6 ქართველი ფეხბურთელი მოხვდა, მათ შორის, ავთანდილიც. ნაკრებს სათავეში გ. კაჩალინი ჩაუდგა.

1945 წელს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნა „კრილია სოვეტოვი". ამ ფაქტში შეიძლება თავისთავად არაფერია ღირსშესანიშნავი, მაგრამ იგი შორს ცდება „კრილია სოვეტოვის" მაშინდელი წევრების ცალკეულ ბიოგრაფიას. ეს იყო ბაზა, რომლის საფუძველზე შემდეგ ჩვენი სახელოვანი მწვრთნელის ა. ჟორდანიას მეთაურობით შეიქმნა ახალგაზრდული, მეგობრული, ძალიან ორიგინალური თბილისის „სპარტაკი". ა. პაიჭაძე იყო ამ გუნდის ერთ-ერთი პიონერი, მისი კაპიტანი, საუკეთესო ბომბარდირი.

1951 წელს ა. პაიჭაძე თბილისის „დინამოში" გადავიდა, მაგრამ აქ მხოლოდ 4 მატჩი ითამაშა. ტრავმის გამო გამოეთიშა კოლექტივს. შემდეგ იგი გამოდიოდა თბილისის ოფიცერთა სახლის მაშინდელ პირველხარისხოვან გუნდში, კვლავ დაუბრუნდა განახლებულ „სპარტაკს".

მაგრამ ადრე თუ გვიან ფეხბურთის თამაში თავდება. ძველები ტოვებენ მინდორს, ახალ თაობას უთმობენ სარბიელს. ეს კანონთა კანონია. ავთანდილმაც დატოვა მინდორი, წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, შეუდგა მუშაობას პროფესიის მიხედვით.

ამ რამდენიმე წლის წინ შექმნა სპეციალიზებული სავაჭრო ორგანიზაცია „საქსპორტვაჭრობა", რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა ა. პაიჭაძე. ეს არ იყო შემთხვევითი არჩევანი: გამოცდილი ეკონომისტი და სპორტსმენი, საქმის ერთგული კაცი და სპორტის ენთუზიასტი. მან თავიდანვე ასე განსაზღვრა დაწესებულების საქმიანობა — ესაა სპორტული კოლექტივი, მოწოდებული საიმისოდ, რომ ყველაფერი გააკეთოს, რათა მაქსიმალური რაოდენობით მიაწოდოს სპორტული საქონელი და აღჭურვილობა ახალგაზრდობას, განსაკუთრებით, ბავშვებს. მას კარგად ახსოვს თავისი პატარობა, როცა მთელს ფოთში ორ-სამ ბავშვს თუ ჰქონდა ბურთი და ბუცები. რა გულდაწყვეტილი რჩებოდნენ ბავშვები, როცა ბურთის პატრონს შინიდან არ გამოუშვებდნენ. მაშინ ჩვრებისგან უხდებოდათ ბურთის გაკეთება. ამიტომ აქვს გადაწყვეტილი „საქსპორტვაჭრობის" ხელმძღვანელობას გახსნას თბილისის ცენტრში სპორტული საქონლის სპეციალიზებული მაღაზია მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისთვის. მაღაზიაში შესული ნორჩი სპორტის მოყვარული ხელცარიელი არ უნდა გამოვიდეს იქიდან.

„საქსპორტვაჭრობა" მოწინავე სავაჭრო დაწესებულებაა. დაარსების დღიდან იგი სისტემატურად ღებულობს გარდამავალ დროშას, პრემიებს, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს.

ვაჭრობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის ა. პაიჭაძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საპატიო მედლით, სიგელებით, არჩეულია თბილისის კიროვის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, მუშაობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანოში.

და ყველგან, ყოველთვის, ა. პაიჭაძე სპორტის სამსახურშია. გადაწყვეტენ ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელები შეკრებას და ვარჯიშს რაიმე შეჯიბრებისთვის, ავთანდილი პირველია — მუდამ მონდომებული, დაუღალავი, ენერგიული.

ჯ. გოგლიძე.

სურათზე: ასე თამაშობდა მუდამ ა. პაიჭაძე — შეტევის მახვილზე, იქ სადაც „გოლის სუნი" ტრიალებს. სპარტაკელთა მარჯვენა გარემარბი გადაღებულია 1953 წელს ერევნის „დინამოსთან" შეხვედრის დროს.

საქართველოს ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 31 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" (ლანჩხუთი)	29	23	4	2	57—15	50
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	28	18	6	4	44—18	42
„სინათლე" (თბილისი)	28	19	2	7	51—23	40
„დინამო" (ზუგდიდი)	29	14	8	7	44—26	36
„ლოკომოტივი" (თბილისი)	25	14	6	5	42—19	34
„კახეთი" (თელავი)	29	12	10	7	41—34	34
„სალხინო" (გეგეჭკორი)	29	12	9	8	35—35	33
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	29	14	4	11	52—33	32
ასკ (თბილისი)	28	12	8	8	35—25	32
„ივერია" (ხაშური)	29	10	12	7	34—29	32
„ეგრისი" (ცხაკაია)	29	12	8	9	37—38	32
„სქური" (წალენჯიხა)	29	8	14	7	36—36	30
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	29	8	13	8	35—29	29
„გიგანტი" (ლაითური)	29	10	9	10	37—38	29
„სულორი" (ვანი)	29	10	9	10	25—27	29
„ისანი" (თბილისი)	29	7	13	9	24—24	27
„შუქურა" (ქობულეთი)	29	10	7	12	27—34	27
„ვარკეთილი" (გარდაბანი)	29	8	11	10	31—39	27
„სამცხე" (აწყური)	29	6	12	11	34—41	24
„მაღაროელი" (ჭიათურა)	29	7	7	15	21—36	21
„ფეიქარი" (წულუკიძე)	28	6	8	14	23—36	20
„ქართლი" (გორის რ-ნი)	29	6	8	15	34—52	20
„ცისკარი" (სიღნაღი)	29	4	11	14	15—42	19
„განთიადი" (ცხინვალი)	29	6	4	19	24—43	16
„ალაზანი" (გურჯაანი)	29	3	10	16	19—40	16
„ვარძია" (ასპინძა)	29	3	9	17	20—65	15

II ჯგუფი

მდგომარეობა 31 ივლისისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„განთიადი" (ბორჯომი)	16	11	2	3	41—18	24
„მესხეთი" (ახალციხე)	16	11	2	3	35—14	24
„ვაზი" (შრომა, გურჯაანი)	16	11	1	4	39—17	23
„მევენახე" (ვაზისუბანი)	14	9	3	2	21—10	21
„დურუჯი" (ყვარელი)	16	9	1	6	25—17	19
„შირაქი" (წითელი წყარო)	15	8	2	5	16—23	18
„მევენახე" (ბოლნისი)	14	5	6	3	25—21	16
„ბახტრიონი" (ახმეტა)	16	6	3	7	26—25	15
„ბარეჯი" (საგარეჯო)	14	6	2	6	18—20	14
„შევარდენი" (თბილისი)	15	3	6	6	14—21	12
„მშენებელი" (წალკა)	15	5	2	8	20—31	12
„ბარიხი" (თეთრი წყარო)	14	4	1	9	16—29	9
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	15	2	4	9	13—28	8
„არაგვი" (დუშეთი)	15	2	3	10	15—31	7
„აბული" (ახალქალაქი)	15	1	0	14	11—30	2

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი" (ხობი)	15	12	3	0	39—12	27
„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)	14	10	2	2	28—13	22
„სალხინო" (მაიაკოვსკი)	13	9	3	1	24—7	21
„ჩიხურა" (საჩხერე)	14	9	2	3	22—14	20
„განახლება" (ადიგენი)	14	7	4	3	31—18	18
„კახაბერი" (ხელვაჩაური)	14	7	4	3	20—19	18
„სამგურალი" (წყალტუბო)	15	4	5	6	16—17	13
„დინამო" (ოჩამჩირე)	15	4	5	6	17—21	13
„განთიადი" (აბაშა)	15	3	4	8	13—25	10
„კოლმეურნე" (ქედა)	13	3	2	8	17—26	8
„მექანიკოსი" (სამტრედია)	14	3	2	9	16—27	8
„ბახმარო" (ჩოხატაური)	15	2	4	9	16—28	8
„დინამო" (ქუთაისი)	14	3	1	10	21—38	7
„კომეტა" (ფოთი)	13	2	1	10	13—28	5

სპრინგფილდელი პიონერები

ამერიკული ტანვარჯიშით არც ისე დიდი ხანია გავიცანით. ამ სახეობის პოპულარობა შეერთებულ შტატებში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ცურვის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ამერიკული ფეხბურთისა.

ამერიკის შეერთებული შტატების ტანმოვარჯიშეებმა მხოლოდ ბოლო წლებში მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე. მიუხედავად ამისა, ტანვარჯიშს იქ საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს. ამერიკაში ოფიციალურად ეს სახეობა 1891 წელს დაიბადა სპრინგფილდის კოლეჯში. თუმცა, ამერიკული ტანვარჯიშის ისტორია რეალურად 1904 წლიდან იწყება, როცა პირველი ოფიციალური ჯგუფები ჩამოყალიბდა.

ამ ცოტა ხნის წინ ამერიკაში გამოვიდა ა. ლინის წიგნი, რომელიც მიეძღვნა ტანვარჯიშის 65-წლიან ისტორიას სპრინგფილდის კოლეჯში.

1906 წელს გ. რეინჰარდმა ტანმოვარჯიშეთა პირველი ოფიციალური ჩემპიონატი ჩაატარა. შემდეგ ამერიკის ტანვარჯიშს ლ. შრედერი ჩაუდგა სათავეში, ხოლო 1920 წლიდან მას ავსტრალიელი ლ. ჯადი ხელმძღვანელობდა.

სპრინგფილდის კოლეჯის ტანვარჯიშული ჯგუფები იმთავითვე ცდილობდნენ ფიზიკურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებების პროპაგანდას და ხშირად აწყობდნენ საჩვენებელ გამოსვლებს აღმოსავლეთ სანაპიროზე.

შემოხსენებული კოლეჯის ტანმოვარჯიშეებმა ჯადის ხელმძღვანელობით საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. ჯადმა შექმნა მთელი ანსამბლი, სადაც კოლეჯის სტუდენტები ასრულებდნენ არა მხოლოდ სპორტულ ვარჯიშებს, არამედ რიტმულ, ეროვნულ ცეკვებს, აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის — რუსულ, ესპანურ, უნგრულ და სხვა ცეკვებს. ეს ჯგუფი გასტროლებს აწყობდა ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ ქალაქში. გასტროლიორები ცეკვებსა და ჯამბაზურ ტრიუკებს კარგად უნაცვლებდნენ ფარიკაობას და ძიუდოს. ამავე დროს, დასის ყველა წევრი შესანიშნავად ფლობდა ტანვარჯიშულ იარაღებს. სპრინგფილდის კოლეჯი ახალი ინგლისის ტანვარჯიშული კავშირის უცვლელი ჩემპიონი იყო.

სხვადასხვა დღესასწაულზე და კარნავალზე სპრინგფილდის კოლეჯის ტანმოვარჯიშეებს თავიანთ პროგრამაში შეჰქონდათ ათასგვარი პირამიდები, მაყურებელს წარმოუდგენდნენ ანტიკურ ქანდაკებებს. შემდგომში ამ გამოსვლების დროს ისინი ბრინჯაოსფრად იღებავდნენ ტანს. 30-ანი წლების ნიწურულს დასს დიდი წარმატება ჰქონდა. 1939 წელს იგი ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" გამოდიოდა, დეტროიტში კი ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში დასმა გამოსვლები შეწყვიტა, მაგრამ 1945 წლიდან კვლავ განაახლა. ჯადი კიდევ ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ ანსამბლს. მერე კი ხელმძღვანელის პოსტი თავის მოწაფეს ფ. უოლკოტს გადაულოცა.

სპრინგფილდის კოლეჯის აღსაზრდელებს წამყვანი პოსტები უკავიათ ამერიკის ტანვარჯიშის კავშირებში, ფედერაციებში. ბევრი მათგანი მწვრთნელად მუშაობს. მათ შორის უნდა დავასახელოთ დ. კარდინალი — 1960 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ბოლო წლებში კოლეჯის ტანმოვარჯიშე ქალებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ჯერ მ. პოტერის, მერე კი გ. მიურეის ხელმძღვანელობით. უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდნენ ე ჰეილანდი და ქ. კორიგანი. 1964 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეს ქ. კორიგანს ახლა საკუთარი ტანვარჯიშული სკოლა აქვს მასაჩუსეტსში.

კოლეჯის ქალთა გუნდს ბევრჯერ მოუპოვებია ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის სახელი, ხოლო შარშან II ადგილზე გავიდა. ეროვნულ ჩემპიონატებში ასევე მუდამ საპრიზო ადგილებზე გადის ვაჟთა გუნდიც.

სპრინგფილდის კოლეჯის კარგი ტრადიციები კვლავაც გრძელდება. ამ კოლეჯის ტანმოვარჯიშეებს როგორც მუდამ, ახლაც უყვართ ხელოვნება, ცეკვები. ისინი არ იფარგლებიან „წმინდა" ტანვარჯიშით.

მ. ბარამია.

• • •

სურათებზე: სპრინგფილდის კოლეჯის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდის წევრები.



ფრენბურთის ბადესთან

სოხუმში ჩატარდა საქართველოს ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პირველობა ფრენბურთში. ტურნირი საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა 12 და ქალთა 7 კოლექტივი.

ვაჟთა გუნდები ქვეჯგუფებად დაიყვნენ. თავი გამოიჩინეს თბილსრესის, ქარხანა „ელექტროიზოლიტის", მცირე ძალის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო და ელექტროტექნოლოგიური კვლევითი ინსტიტუტების გუნდებმა. ფინალში ეს კოლექტივები შეხვდნენ ერთმანეთს საპრიზო ადგილების გასანაწილებლად.

I ადგილი დაიკავა მცირე ძალის ელექტრომანქანების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ნაკრებმა. II ადგილზეა ელექტროტექნოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივი, III — თბილსრესის გუნდი.

ქალთა გუნდების შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა. ჩემპიონობის ბედი ელექტროშედუღების ქარხნისა და თბილსრესის გუნდების ფინალურ მატჩს უნდა გადაეწყვიტა. ელექტროშედუღების ქარხნის გუნდმა მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 3:2.

III ადგილზე გავიდნენ მცირე ძალის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სპორტსმენები.

რ. მაღრაძე.

სოხუმი.

ფიშერი: მატჩებში არავისი მეშინია

შარშან ბელგრადში, სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს" გამორჩეულ დიდოსტატთა მატჩის დროს, იუგოსლაველმა კორესპონდენტებმა რამდენიმე შეკითხვით მიმართეს ცნობილ მოჭადრაკეებს. გთავაზობთ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეების ტ. პეტროსიანისა (სსრ კავშირი) და რ. ფიშერის (აშშ) პასუხებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, დღესაც საინტერესოა.

● რა არის თქვენთვის ჭადრაკი, ყველაზე მეტად რა გიტაცებთ ამ თამაშში?

პეტროსიანი: ჭადრაკში მიუწვდომელი იდეალია უშეცდომოდ თამაში. მეც სწორედ ასეთი თამაშისკენ ლტოლვა მიტაცებს. მეიძლება თავისი ტალის ზენიტში დიდოსტატები ზოგჯერ კიდეც თამაშობენ უშეცდომოდ, მაგრამ შემოქმედების სხვა ეტაპებზე ხარვეზები გარდუვალია.

ყოველი მოჭადრაკე მეტოქესთან პაექრობის დროს საკუთარ თავსაც ებრძვის. ყოველი პარტია ან მატჩი ამავე დროს შინაგანი ბრძოლაცაა. ბევრი საპასუხისმგებლო პარტია წამოგია მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე ვერ მოვრევივარ საკუთარ თავს.

ყოველი დიდოსტატი ერთეული პიროვნებაა, რომელზეც წარმოდგენაც მუდამ როდი შეეფერება სინამდვილეს. ტალი არ არის მხოლოდ „შეწირვა", ფიშერი — „ელექტრონული მანქანა", პეტროსიანი — „სიფრთხილე". ზოგიერთს მიაჩნია, რომ თამაშის დროს მე ზედმეტად ფრთხილი ვარ. მე კი ვცდილობ თავი ავარიდო შემთხვევითობას. ის, ვისაც შემთხვევის იმედი აქვს, ბანქოს უნდა თამაშობდეს. ჭადრაკი კი სულ სხვაა.

არასოდეს მიმაჩნდა აუცილებლად მსოფლიო ჩემპიონი გავმხდარიყავი. ამ წოდების დაკარგვა ტრაგედიად არ მიმიღია. როგორც უწინ, ახლაც პირველ ყოვლისა ჭადრაკს ვთამაშობ.

ფიშერი: ჭადრაკში ყველაზე მეტად მხიბლავს მოგზაურობის შესაძლებლობა, ფული, საჭადრაკო ატმოსფერო. ჭადრაკით უფრო ადვილად ვშოულობ ფულს, ვიდრე სხვა საქმით. ჭადრაკი, რა თქმა უნდა, ხელოვნებაა, მაგრამ ამაზე ღრმად არ მიფიქრია. ძალიან მიყვარს ეს თამაში, მაგრამ სხვაც ბევრი რამ მაინტერესებს — მუსიკა, სპორტი, პოლიტიკა.

ჭადრაკის პროფესიონალებს შეუძლიათ ცხოვრება. ვერც ერთ სხვა დარგში ვერ მივაღწევდი იმას, რასაც ჭადრაკში მივაღწიე. სკოლა არ დამიმთავრებია და დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს საჭირო იყო.

დიდი ხანია ტურნირებში არ მითამაშია, მაგრამ ჭადრაკი არსებობის საშუალებას მაძლევს. წიგნისთვის „ფიშერი ჭადრაკს გასწავლით" 10 ათასი დოლარი მივიღე, კრებულისთვის „ფიშერის 60 პარტია" — დაახლოებით ამ თანხის ნახევარი. გარდა ამისა, მაქვს ყოველთვიური შემოსავალი 300 დოლარის რაოდენობით ერთი ახალგაზრდული ჟურნალის საჭადრაკო განყოფილებიდან.

ჩემზე გაავრცელეს ხმები, თითქოს წერა არ შემეძლოს, თითქოს ინტერვიუში ფულს ვთხოულობ, მეჯავრება ფოტორეპორტიორები, ვაყენებ მიუღებელ პირობებს. ეს სიმართლეს არ შეეფერება. მე მუდამ ვმუშაობ, ვცდილობ ვიყო თავაზიანი, ფულისთვის სინდისზე ხელს არ ავიღებ, მაგრამ ჭადრაკით კი ვცხოვრობ...

● თქვენი ნათამაშევი პარტიებიდან რომელი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

პეტროსიანი: ვფიქრობ ლაპარაკია იმ პარტიებზე, რომლებიც ყველაზე უფრო მოგვწონს. ჩემთვის ასეთია ბოტვინიკთან 1963 წელს ნათამაშევი მატჩიდან V პარტია და სპასკისთან პირველი მატჩის VII პარტია.

ფიშერი: ჯერჯერობით საუკეთესოდ მიმაჩნია დ. ბირნთან 1956 წელს ნიუ-იორკში ნათამაშევი პარტია.

● რა აზრისა ხართ მსოფლიო პირველობის გათამაშების არსებულ სისტემაზე?

პეტროსიანი: ძნელია იპოვო მსოფლიო პირველობის გათამაშების იდეალური სისტემა. მთავარია კარგად თამაშობდე, ხოლო სისტემა უკვე მეორეხარისხოვანი ამბავია. პრეტენდენტთა მატჩების ნაკლი ის გახლავთ, რომ ყველა მონაწილე ერთმანეთს არ ხვდება. ამიტომ უფრო ლოგიკურია ექვსთა ოთხწრიანი ტურნირი ან ოთხთა მატჩ-ტურნირი რვა წრედ.

ფიშერი: პრეტენდენტთა მატჩების სისტემის მიმართ საყვედური არაფერი მაქვს, მაგრამ მატჩები უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს, ვთქვათ, ექვს მოგებამდე, ყაიმების ჩაუთვლელად. მატჩებში არავისი მეშინია. საჭიროა, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდეს. სპასკისთან მომავალი მატჩის თამაშის საუკეთესო შანსი აქვთ ლარსენსა და კორჩნოის. მე კი, რასაკვირველია, მინდა, რომ საქმე ფიშერ—სპასკის მატჩამდე მივიდეს, მაგრამ...

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ახალი ამბები-71

● **ორიოლი.** 30 ივლისი. საპლანერო სპორტში აქ დაწყებული 38-ე საკავშირო ჩემპიონატის ოქროს პირველი მედლები ესტონელმა სპორტსმენებმა ილარ ლინკმა და ედა ლაანმა მოიგეს: ყველაზე სწრაფად იფრინეს თავიანთი უმოტორო მანქანებით 100-კილომეტრიანი სამკუთხოვანი მარშრუტით ფრენის 57 მონაწილიდან 52 სპორტსმენმა შეასრულა ვარჯიში. ჩემპიონატში მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვის წარმომადგენლები გამოდიან. უკონკურსოდ იღებენ სტარტებს პოლონეთის, რუმინეთისა და კუბის პლანერისტები.

● **ბერლინი.** 30 ივლისი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა აქ ამხანაგური მატჩი გამართა ვაისვასერის „დინამოსთან". საბჭოთა ჩემპიონები ფრეს დასჯერდნენ — 6:6.

თბილისის სპორტული აფიშა

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 1 აგვისტო. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04769